

# დღეს

№044 23 თებერვალი პარასკევი 2007  
 (12 114) გამომდის 1934 წლიდან

ფასი  
 50 თეთრი

საქართველოს  
 პარასკევი  
 ბიზნისი  
 ბიზნისი




## დღეს საქართველოს ჩემპიონატი განახლდება

<b>XIV ტური</b>
<b>23.02. პარასკევი. 14:00</b>
გორჯობი-ლინკო
ბათუმი-ლილა
ოლიგვი-სიონი
მარანი-კახეთი
ლოკომოტივი-ზანთაფორი
ჩინკა-აბიანი
ვიტ ჰორვია-ტორავლი

მოსაგზავნელი ეტაპის შეფასება, ტურის წინათება და მეორე წრის კალენდარი

2-4



# რა ბინერიით მან კონტრაქტში?


**გოგუა გასინჯეს და  
 დაინუნეს. ამ კარდაკარ  
 სიარულში კი  
 გლაზგო ახლოვდება**

დღეს, გოგუა "ტომიდან" წამოვიდა, უფრო სწორად, გამოუშვეს: მაგის პოზიციაზე ორი ძლიერი ფეხბურთელი გვეყავსო. და რაღას მიჰყავდათ? მაგრამ ვინ ეკითხება გოგუას, მთავარია, რას იტყვის ან მოისურვებს ვინმე ჩერვიჩენკო ("ტომიდან" წამოსულს, თურმე, არც ნალჩიკში უშვებს). თუმცა მარტო ამ კაცში არ არის საქმე. დღეს მიღებული პრაქტიკაა: ზოგიერთი უცხოელი მოთამაშის კონტრაქტს არა კერძო პირი, არამედ ფეხბურთისგან შორს მდგარი რაღაც კორპორაციაც კი განაგებს. აქ უკვე მთავარი ისაა, რა წერია ამ კონტრაქტში... და რა ხდება გოგუას შემთხვევაში? ვისი ბრალია ეს სატრანსფერო აბრაკადაბრა? რა თქმა უნდა, თავად ფეხბურთელის ბრალიცაა. რატომ? იმიტომ! ასე ხდება, როცა საკუთარ ბედს წინდაუხედავად ანდობ საუფრო რეპუტაციის აგენტებს (მათ შორის, ქართველებსაც). ეს მარტო გოგუას არ ეხება, ზოგადად, ქართველი ფეხბურთელების სენია. ისე ბარდებიან ფულზე დახარბებულ ვითომაგენტებს, ისე მიაჯღაბნიან კონტრაქტზე ხელმოწერას, წამითაც არ ფიქრობენ, ან აზრადაც არ მოუვათ, ეს კონტრაქტი კვალიფიციურ იურისტს გადაახედონ მაინც... არადა, ცოდოა გოგუა. ასე კარდაკარ სიარულში ხომ გლაზგოც მოახლოვდა და როგორ გვეჩივრდება იქ, "ჰემპდენ პარკზე" (და არა მარტო იქ). ახლა არ იყო თურქეთთან? ბოლო 15 წუთი ათამაშეს და კი შემოატრიალა კიდევ თამაშის ჩარხი...



**დიდებული  
 ფაქტია,  
 მებრამ  
 განწირული  
 აბლანბა**  
 ორმაგი დუბლი  
 და სეზონის  
 რეკორდი 12

# დაბადების დღე მერვედფინალით



ტაქნიკური  
 შედეგები და  
 1/8 ფინალის  
 წყვილები  
**15**



## შოთა ნიუკასლისკენ, სიზანიშვილს პრემიერლიგა დარჩა

შოთა არველაძე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, ვინც უეფას თასის მერვედფინალში ითამაშებს. გუშინ, საპასუხო 1/16 ფინალის საპასუხო შეხვედრებმა ქართული კოპორტა კიდევ ერთხელ გაცხრილა: ზურაბ სიზანიშვილმა და მისმა "ბლეტერნმა" ვერაფერი დააკლო დაცვაში ჩამჯდარ "ლევერკუზენს" (0:0). პირველ მატჩში გერმანელებს 3:2 ჰქონდათ მოგებული, ასე რომ, ზურა და კომპანია ახლა მხოლოდ შინაური პირველობით იქნება დაკავებული. სიზანიშვილი 86-ე წუთზე შეცვალეს. ქართველი მცველი ერთხელ დაემუქრა "ლევერკუზენს" კარს, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა...

ნიკოლოზ ნაწარიაძე










www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

## ძველესი ფეხბურთის წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge



გოგითა გოგუა

### დათარსული ტრანსფერი

## გოგუა გასინჯავს და... დაინუნავს

### ჩერვიჩანკო გოგუას არც ნაღვიპი უზვავს. ამასობაში, მისი ახვანა თბილისის ოლიმპს სურს

როცა წყაროები ერთმანეთისგან განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ (ამ შემთხვევაში, ქართული და უკრაინული), სჯობს, ოფიციალურ ინფორმაციას დაეყრდნობო. აქვე, სრულად მოგვყავს საფეხბურთო კლუბ "ტომის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ციტატა:

"გოგითა გოგუა "ტომის" რიგები დატოვა. ქართველმა ნახევარმცველმა კლუბის ესპანურ შეკრებაზე სულ რამდენიმე დღე ივარჯიშა. ვალერი პეტრაკოვმა მიიღო გადაწყვეტილება, არ აეყვანა გოგუა "ტომში" ამ სეზონისთვის. უკვე დღეს, არსებობს ახალწვეულმა მოსამზადებელი ბაზა დატოვა".

ასე რომ, დღეს, მარბელიაში, "ტომი" კივიცის "დინამოს" გოგითას გარეშე გაეზიარება. ციმბირულ კლუბს გოგუას პოზიციაზე ორი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს: ბელარუსი ლევიონერი ალექსანდრ კულჩი და გუნდის კაპიტანი ვასილი იანოტოვსკი. სანამ გაირკვეოდა, რომ ჩვენებური კარიერას "ტომში" არ გააგრძელებდა, მას რუსული გამოცემა "ევროფუტბოლი" ესაუბრა. ჩვენ ამ ინტერვიუსაც გთავაზობთ. გოგუა ადასტურებს, რომ "ტომში" სინჯვებზე იმყოფებოდა:

- პრობლემები შემექმნა ბრიტანეთში მუშაობის უფლებების მიღებაში, თუმცა კვლავ ვეროპისკენ მიმინევს გული. "პარტის" სერიოზული კლუბია, რომელსაც პროფესიონალი მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი ავარჯიშებს. მასთან ხანმოკლე მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. სამწუხაროდ, კონტრაქტი არ შედგა და რუსეთში გბრუნდები. რუსულ პრემიერლიგას უკვე მივიჩვიე, პირველი ნელი ხომ არ არის რაც არა ვარ?".

- ამბობდნენ, თითქოს თქვენით კრასნოდარის "ყუბანი" იყო დაინტერესებული, მით უფრო, რომ პაველ იაკოვენკოსთან ერთად "ხიმკიში" გიმუშავიათ?

ნიკოლოზ ნაწვარიძე

### 19-წლამდელთა ნაკრები

## პაინსის სია პირინაეზისთვის

26 თებერვალს, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თბილისიდან მიუნხენის გავლით, ლისაბონს გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. **ჰაინც ტომპილერი** პორტუგალიაში იმ ჭაბუკებს გამოცდის, ვისაც შემოდგომაზე 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ექნება სათანაო. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა პორტუგალიაში გასამგზავრებელთა სია უკვე დაასახელა. ჩამონათვაში, რომელშიც 18 ფეხბურთელია, სია ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურისგან შევიტყვეთ:

- მაკარაშვილი: 1. როინ კვასცაძე (ზესტაფონი), 12. გიორგი მაკარაძე (დინამო).
- მცველები: 2. გიორგი ცუტაძე (დინამო), 3. გიორგი ხუშარაშვილი, 5. ამირან სანია (ორივე ზესტაფონი), 4. ვახტანგ ქვიციანიძე (გაგრა).
- ნახევარმცველები: 6. მურთაზ დაუშვილი, 7. ალექსი ბენაშვილი, 16. ტარიელ სოფრომაძე (ყველა ზესტაფონი), 8. თამაზ ჩარგვიანი, 17. გიორგი სალარიძე (ორივე ჩხურა), 9. რევაზ ნულაძე (ვიტ ჯორჯია), 15. დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), 10. ლევან ყენია (ლოკომოტივი).
- თავდასხმელები: 11. ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), 13. ვახტანგ ფანცხაძე (გაგრა), 14. რევაზ ლენიაშვილი (ოლიმპიკი), 18. დავით ჯანელიძე (ზესტაფონი).

დავით ცაბაძე



## კალაქის ათლეტიკის პაუზა

ჩემპიონთა ლიგაზე "სელტიკიან" მატჩმა "მილანს" არა და კახა კალაქეს კი ავნო. მატჩის შემდეგ კალაქეს ქუსლი ასტიკედა. იტალიელთა მტკიცებით, ქართველ მცველს კვირაზე მეტხანს მოუწევს დასვენება.

ეროვნული ნაკრების გლაზგოურ მატჩამდე თვეზე ნაკლები დარჩა. ბუნებრივია, ეროვნული გუნდის კაპიტნის მდგომარეობით დავინტერესდით. უპირველესად კახასთან იტალიაში დაკავშირება გადაწყვიტეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. მერე კი ვითარებაში გარკვევის მიზნით თამაზ ბოკერიას შევხვდით, რომელმაც შემდეგი ინფორმაცია მოგვანოდა:

"კახა ქუსლის ტკივილმა შეანუხა. თუმცა, მისი მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არაა. ათიოდე დღეში მწყობრში იქნება".

დავით ცაბაძე

### ლეგიონერი

## სიმაკურია ილიჩაევსურია

ზამორინის "მეტალურგიდან" გიორგი ციმაკურის უცნაურმა ნასვლამ კლუბის მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება გამოიწვია. რაც მწვრთნელ სერგეი იაშჩენკოს სურდა, არ უნდოდა გუნდის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ანდრეი კურგანსკის გუშინ თავად გიორგის შევხვბამანთ და მნიშვნელოვანი სახეზეც გვითხრა:

- მომხდარს ახსნა ვერ მოეწონებ. ჩემზე უარის თქმით, იაშჩენკო პრეზიდენტმა ისე გაამანრა, მითხრეს, რომ გადადგომაზე განცხადება დანერა. თუმცა "მეტალურგი" აღარ მაინტერესებს. მე უკვე მოვინახე გუნდი.

- ახლა სად ვარჯიშობ?
- მარიუპოლის "ილიჩევსკში" ჩავირიცხე. "სტალიდან" ტრანსფერი უკვე გამოსყიდეს.
- კონტრაქტი გააფორმე?
- დიახ, დღეს ორლიანზე მოვანერე

მერაბ მაგულაშვილი

ნიკოლოზ ნაწვარიძე

## ორი ერთზე, მგზავს ერთით ორზე

უპრინციპულმა "დინამომ" მოსამზადებელი შეკრების პროგრამაში ერთი შესწორება შეიტანა: თურქეთიდან ოლეგ პროტასოვის გუნდი შინ გაფრინდება. საქართველოში, კერძოდ, ზესტაფონში სტუმრობა უკრაინელებმა გადაიფიქრეს. ზესტაფონში "დინამო" 28 თებერვალს უნდა ჩასულიყო და სეზონის განახლების ნიშნად, ქართულ კლუბთან ბოლო საკონტროლო მატჩი უნდა გაემართა.

ამასობაში, "დინამომ" ტესტმატჩი გამართა თურქეთში, სადაც ლიტვის ჩემპიონ "კაუნასს" შეხვდა და 2:1 მოუგო. მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ "კაუნასის" მცველ აკაკი ხუბუტიასა და "დინამოს" ახალწვეულ ჯაბა კანკავას. უკრაინელთა შორის, ძირითადად იყო რევაზ ბარაბაძე, ლიტველებში კი, ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია. ბარაბაძეს ორი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმცა ქართველის მიერ ჯერ ფეხით, ხოლო შემდეგ თავით დარტყმული ბურთები ლიტველმა გოლეპერმა მოიგერია. ბარაბაძე, 71-ე წუთზე, "დინამომში" სინჯვებზე მყოფმა პორტუგალიელმა ფორვარდმა მარტინშმა შეცვალა.

ამის შემდეგ, "კაუნასი" ყაზახურ "ტობოლს" გაეფიქრა და კვლავ 1:2 დამარცხდა. ამ მატჩში ქართველთაგან მხოლოდ ხუბუტია ითამაშა.

### CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბიზნესობიერ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

- CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- CDN TV IP ტელეფონის დადგმა;
- CDN B-33 კავშირი ყველაგან და ყოველთვის;
- GIGA DDD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
- CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში 24 საათის უწყვეტი მომსახურება

- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ხარისხი
- გადახდა ნახლიდან გაუსულივით

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ-ბოქსოვანი ტექნოლოგიები!

დაარსდა, შუშუბათი, ჩაქართში

ორ, აბაშიძის 14  
ტელ.: 550 055, 259 555  
cdn@cdn.ge, www.cdn.ge























მსოფლიო ჩემპიონატი

სორბეაზიული ღუბელი



იენს არნე სვარტედალი

იაპონიის სათხილამურო კურორტ საბოროში სტარტი აიღო ბარის თხილამურებში მსოფლიოს ჩემპიონატმა...

ნამით - ფინელი ვირბი კუიტუნენი. კაცებში კი წინ არავინ გაუშვა იენს არნე სვარტედალმა...

ჩიობტურითი

უიგლდონი

თანაბარია სპორტო ფონდები

"ოლ ინგლენდ კლაბს" თავმჯდომარე ტიმ ფილიპსმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან...

ფედერერმა 1.28 მილიონი დოლარი მიიღო, ამელი მორესმოს კი 1.221 მილიონი დოლარი ერგო.

ვეტილებას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდებენ ლარი სკოტმა, რომელმაც ყოველივე იმით ახსნა...

ცნობისთვის, 1968 წლის უიგლდონის ქალმა ჩემპიონმა ბილი ჯინ კინგმა 750 გირვანქა სტერლინგი მიიღო...

ტურნირები

ATP ABN AMRO-ს ჩემპიონატი. ოქტომბერი (სამიტირია). 19-25 თებერვალი. პარდი. საპრიზო ფონდი: 782 000 დოლარი.

V ჯგუფი. რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)-გასტონ გაუდიო (არგ, 6) 6:1, 6:1. სატურნირო მდგომარეობა: დი მაური - 1 მოგება/0 წაგება; რამირეს იდალგო - 1/1; გაუდიო - 0/1.

საქართველოს საპარამუნდო დროშა. მთავარი რედაქტორი თეზბო ბარჩილაძე.

ტექნიკური რედაქტორი მინილ ჯაფარი. ტექნიკური რედაქტორი: მანანა აბოშვილი, გუნიკა ულიზაშვილი, ნათელა სახმარაძე...

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი".

სკოპი. გამოდიოდა 2002-06 წლებში. ლელოს მთავარი რედაქტორები: მინილ კაპანაძე (1949-52, 64-76).

მისამართი: 8. პოსტაბაზა 14, 0108 თბილისი. ტელ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94.